

შვილად აყვანის ინსტიტუტის ისტორიული მიმოხილვა ძველ რომში და მისი სამართლებრივი რეგულირება ძველ ქართულ სამართალში

ოჯახი, ადამიანთა ერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ფორმაა. ეს ის მოკროსამყაროა, რომელშიც იზრდება და ყალიბდება პიროვნება საზოგადოების წევრად. ოჯახი უზრუნველყოფს ადამიანთა მოდგმის გაგრძელებას და ასრულებს ბავშვის აღზრდის ფუნქციას [1, 67]. სწორედ ამიტომ, ბავშვის ინტერესების დაცვა ყოველთვის იყო და არის ქართული სამართლის განსაკუთრებული ყურადღების საგანი.

შვილება ძველ ქართულ საოჯახო სამართალში ერთ-ერთ უძველეს ინსტიტუტს წარმოადგენდა. ეს უპირველესად განპირობებული იყო იმით, რომ მას დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

მშობლების მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ინტერესების დაცვა და ბავშვებისთვის ცხოვრების იმავე პირობების შექმნა, რაც მათ ექნებოდათ მშობლიურ გარემოში, ოჯახში ცხოვრებისას, ყოველთვის წარმოადგენდა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ამოცანას [2, 54].

თუმცა, ამ ინსტიტუტის წარმოშობა არ დაწყებულა ძველი ქართული სამართლით და მან გამოყენება ჯერ კიდევ რომის სამართალში ჰპოვა.

რომში შვილად აყვანა ორ სახეობად იყოფოდა, რომელთაგან ერთი “ადოფციოს” სახელით იყო ცნობილი, ხოლო მეორე –“ადროგაციოდ”. “ადროფციო” აღნიშნავდა ოჯახის შვილის შვილად აყვანას, “ადროგაციო” კი თავისუფალი პირის შვილებას. როგორც წესი, შვილება ორნაირად ხდებოდა: ან პრინციფსის, ან მაგისტრატის ხელისუფლებით. პრინციფსის ხელისუფლებით შვილად იყვანდნენ იმას, ვინც თავისუფალი იყო, ხოლო მაგისტრატის ხელისუფლებით შვილად აყავდათ ის, ვინც მეურვეობას ექვემდებარებოდა. ამასთან, ყურადსაღებია ის, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა ასაყვანი ბავშვი პირველი კატეგორიის ბავშვი იქნებოდა, როგორცაა ვაჟიშვილი და ქალიშვილი, თუ უფრო დაბალი კატეგორიის, როგორცაა ვაჟი-შვილიშვილი, ქალი-შვილიშვილი, ვაჟი-შვილის შვილი თუ ქალი-შვილიშვილის შვილი. თუმცა, ამ ორივე სახეობისთვის საერთო იყო ის, რომ იმ პირებს, რომლებსაც შვილის გაჩენა არ შეეძლოთ, როგორც მაგალითად საჭურისებს, უფლება ჰქონდათ, შვილად აყვანათ მათთვის სასურველი ბავშვი ერთ-ერთი ხელისუფლების გამოყენებით [3, 49-50].

რომაული სამართალი შვილად აყვანას განიხილავდა, როგორც მშვილებლის ძალაუფლების დამყარებას სხვის შვილებზე ნათესაობის მსგავს ურთიერთობათა წარმოშობასთან ერთად. ნაშვილები თავისუფლდებოდა უწინდელი მამობრივი ძალაუფლებისაგან და მთლიანად შედიოდა შვილად ამყვანის ოჯახში. შესაძლებელი იყო ასევე არარომაელი ბავშვის შვილებაც, რომელსაც ენიჭებოდა თავისუფალი მოქალაქის სტატუსი [4, 105].

შვილად აყვანის ძირითად დანიშნულებას მისი განვითარების პირველი ეტაპზე წარმოადგენდა ოჯახისათვის ვაჟის აუცილებელი ყოლა, რადგან რელიგიური ადათი ოჯახის უფროსისაგან მოითხოვდა ვაჟის ყოლას კერის სიწმინდის დასაცავად, და თუ ბუნება არ აძლევდა ოჯახის უფროს ღვიძლ შვილს ვაჟის სახით, მას ოჯახში უცხო, სხვისი ვაჟიშვილი უნდა მიეღო. საინტერესოა ისიც, რომ ბრმასაც კი შეეძლო შვილად აყვანა [9, 401].

რომაული საზოგადოების კლასობრივ ფენებად დაყოფის პერიოდში, შვილად აყვანა ქცეული იყო პოლიტიკურ ხერხად დიდგვაროვანი პატრიციუსების გვარების შესანარჩუნებლად, გასაგრძელებლად და თვით პატრიციატის საშუალო და დაბალი ფენების წარმომადგენელთა შესავსებად და გასახლებლად [9, 402]. იშვიათად, მაგრამ გამოჩნაკლის შემთხვევაში, შვილად აყვანა მშობლიურ გრძობათა დაკმაყოფილების საშუალებასაც კი წარმოადგენდა [8,301]. შვილად აყვანის შედეგად ღირსება არ მცირდებოდა, არამედ მატულობდა კიდევ, თუკი სენატორს პლებსი (წარმომადგენელი) შვილად აიყვანდა, ის სენატორადვე რჩებოდა [3, 55].

შვილად აყვანის დროს იკვლევდნენ, ხომ არ იყო მშვილებელი ასაკით სამოც წელზე უმცროსი, რადგან ამ შემთხვევაში მას უნდა ეცადა საკუთარი შვილი გაეჩინა, თუ, რა თქმა უნდა, ავადმყოფობა ან ჯანმრთელობის მდგომარეობა, ან კიდევ სხვა რამ ხელს არ უშლიდა საკუთარი შვილის ყოლას. ასაკით უმცროსს არ ჰქონდა მასზე უფროსი პირის შვილად აყვანის უფლება.

ძველ რომში, მაშინ როცა შეზღუდული იყო მიწის ყიდვა-გაყიდვა, შვილად აყვანას, როგორც “ფსევდომშვილებას”, აპრობირებულ ხერხად იყენებდნენ. მიწის ნაკვეთის გამყიდველს შვილად აჰყავდა მისი მყიდველი და მას, როგორც შვილს, თავისი მიწებიდან გამოუყოფდა სამკვიდრო წილს. ხოლო ნაშვილები მშვილებელს აძლევდა მიწის ფასის შესაბამის საჩუქარს [8, 301]. ცხადია, რომ ხსენებულ შემთხვევაში შვილად აყვანა მოჩვენებით ხასიათს ატარებდა.

რომის სამართალში ფეხმოკიდებულმა ამ ინსტიტუტმა კვალი დაამჩნია კანონმდებლობის განვითარებას როგორც რომის იმპერიის შემავალ ქვეყნებში, ასევე მისი რღვევის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოებში. შესაბამისად, აღნიშნულმა თავისებური გავლენა იქონია აღმოსავლეთის ქვეყნების კანონმდებლობათა განვითარებაზე, მათ შორის, ქართული სამართლის ჩამოყალიბებაზეც.

შვილად აყვანა ქართული სამართლისათვის კარგად იყო ცნობილი, თუმცა ამ ინსტიტუტის განვითარების ისტორია არ ყოფილა ერთგვაროვანი. იგი ძირითადად უკავშირდებოდა საოჯახო სამართლის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, როგორც იყო ანდერძის ინსტიტუტი [5,126].

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში შემონახული კანონმდებლობის დადგენილება შვილებული სიძის შესახებ ანდერძის თავისუფლების სუროგატს წარმოადგენდა. თუ სიძე სიმამრის სახლში ოფიციალურად იქნებოდა შესული, იგი ღვიძლი შვილის უფლებებით სარგებლობდა და თავისი სიმამრის უძრავი ქონების –მამულის მემკვიდრედაც შეიძლებოდა ყოფილიყო აღიარებული, რაც მფლობელობის გასხვისების აკრძალვის პირობებში ფაქტობრივი განკარგვის საშუალება იყო.

ვახტანგის სამართლის წიგნის 261-ე მუხლი ისევ უბრუნდება ანდერძის საკითხს: “თუ ერთმა კაცმან უძმომ, უსახლისკაცომ, გაყრილმან, უშვილომ, ცოლმან და ქმარმან ერთის სხვის კაცის შვილი დედმამიანი თუ უდედმამოდ ნაპოვნე, ობოლი ვინმე გაგდებული იყიდოს, თუ იპოვოს, იშვილოს და გაზარდოს, თავისი მამული და და ქონება შვილისებრ მისაკუთროს მას და უანდერძოს” [5,131].

სამართლის წიგნის 261-ე მუხლის სხვა ვარიანტში ვკითხულობთ: “ვინც აიყვანოს ყმაწვილი ან იპოვოს და გაზარდოს, იმისი ასრე იქნას, იმ კაცზე კიდია, თუ უნდა, თავის შვილად გაზრდის და თუ უნდა თავის ყმად”. იმავე საკანონმდებლო ნორმაში სხვა ადგილას ლაპარაკია იმაზე, რომ “იქმნების შვილად კი არა ისრე სასამსახუროს ცოლქმართ ერთად იყიდონ სამსახურისა თუ მადლისათვის”-ო. საკანონმდებლო ნორმებიდან ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტები ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აღნუსხულ ე.წ “სახლისშვილობის” ინსტიტუტს მოგვაგონებს [9, 405].

ნათელია, რომ ფეოდალურ საქართველოში ანდერძით სიძის შვილებაც იყო შესაძლებელი. აღნიშნული პერიოდის საქართველოში შვილად აყვანის ინსტიტუტი ისე გავრცელებული ყოფილა,

რომ დოკუმენტის სპეციალური სახეობაც კი შექმნილა, რომელსაც “ნაშვილობის წიგნი”, ანუ სიგელი ეწოდებოდა და რასაც ხშირად მეფე ამტკიცებდა. [5, 132] ერთ-ერთ საბუთში ნახსენებია: ”ურდოელასშვილისა ნაშვილებიცა იყვნით და ნაშვილეობისა (sic) გქონდა... ურდოელასშვილისაგან ნაშვილეობისა სიგელი და ნიშანი თქუენ გქონდა”-ო [11, 47].

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ უშვილო ოჯახის პატრონს შეეძლო თავის სურვილისამებრ ვინმე ეშვილნა, ”გაეზარდა შვილად”. ეს “შვილი გაზრდილი” მისი მამობილის გარდაცვალების შემდგომ მისი მემკვიდრედ ხდებოდა.

სიძის შვილად აყვანის საკმაოდ მრავალი ფაქტია მოღწეული მე-15-18 საუკუნის საქართველოდან. ერთი დოკუმენტის მიხედვით, ზესიძე ინარჩუნებს რა თავის გვარს (მიქაძე) ჩასიძებასთან დაკავშირებით ცოლის გვარს იმატებს და ხდება მიქაძე-ფალავანდიშვილი.

აღსანიშნავია, რომ შვილად ამყვანი (მშობელი) შეიძლებოდა ყოფილიყო არა მარტო ფიზიკური პირი, არამედ იურიდიული პირიც.

გლეხის უკანონო შვილს არ გააჩნდა მემკვიდრეობის უფლება, რომელიც შეზღუდულად, მაგრამ მაინც ჰქონდა აზნაურის ნაბიჭვარს. ამიტომ გლეხების უკანონო შვილებს ან სხვა უმეტესადაა დაარჩენილ ბავშვებს, ძირითადად, ეკლესია პატრონობდა და შვილად აჰყავდა [8, 302]. შემონახულია 1545 წლით დათარიღებული საბუთი, რომ გენათელი მელქისედექ საყვარელიძე იმერეთის მეფეს, ბაგრატ მესამეს თხოვს, რომ მან, მეფემ მელქისედექის მიერ აღზრდილი ივანე ცაგრილაძე ცნოს ეკლესიის მიერ შვილად აყვანილად. მმეფემ დააკმაყოფილა მელქისედექ საყვარელიძის თხოვნა და, გარდა ამისა, ცაგრილაძეს უწყალობა მამული და სამოსახლო ადგილი. აგრეთვე ივანე ცველაძის ბეითაღმანი მამული – გელათის მონასტრის სამრეკლოს ქვეშ სასაფლაო და ოთხი კომლი გლეხი ს. ოღონგანში [5,137].

აღნიშნული სახით საქართველოში შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობები არსებობდნენ ფეოდალური წყობილების დასრულებამდე, ვიდრე არ დამყარდებოდა სრულიად ახალი წყობა-სოციალისტური საზოგადოების სახით, რომელსაც შესაბამისად გააჩნდა თავისი სამართლებრივი რეჟიმი სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობების მიმართ და, მათ შორის, საოჯახო სამართალში არსებული, შვილად აყვანის ინსტიტუტის მიმართაც [6, 6].

შვილად აყვანის სამართლებრივი რეგულირების ნორმებს საბჭოთა საოჯახო სამართალშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. შვილად აყვანის ინსტიტუტის დედაზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვებს, რომელთაც არ ჰყავდათ მშობლები ანდა მოკლებული იყვნენ განსაზღვრული მიზეზით მშობლიურ მზურნველობას, ენიჭებოდათ ის, რასაც შვილებისთვის საბჭოთა ოჯახი აძლევდა [12, 32].

საბჭოთა კანონმდებლობით დაშვებული იყო მხოლოდ მცირეწლოვნისა და არასრულწლოვნის შვილად აყვანა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მშობლიური ვალდებულება შვილების მიმართ ძირითადად სრულწლოვანების მიღწევამდე გრძელდებოდა. საბჭოთა სამართლის ასეთი მიდგომა თავის თავში უკვე გამორიცხავდა სრულწლოვანი პირის შვილების შესაძლებლობას და ამ მხრივ იზღუდებოდა სრულწლოვნის უფლებებიც. შვილად აყვანისთვის აუცილებელი იყო არამარტო ის, რომ შვილად ასაყვანი არასრულწლოვანი ყოფილიყო, არამედ შვილება ბავშვის ინტერესების სასარგებლოდაც უნდა მომხდარიყო.

არ შეიძლებოდა ათი წლის ასაკამდე მიღწეული ბავშვის შვილად აყვანა, მისთვის გვარისა და მამის სახელის მიცემა შვილად ამყვანის სახელის მიხედვით, აგრეთვე შვილად ამყვანთა ჩაწერა შვილად აყვანილის მშობლებად, უკეთუ არ იქნებოდა შვილად ასაყვანის თანხმობა. ამასთან, რამდენიმე პირის შვილება დაიშვებოდა [7, 29].

შვილად აყვანა უმთავრესად ბავშვთა სახლიდან ხდებოდა. საბჭოთა კანონი უშვებდა რამდენიმე ბავშვის შვილად აყვანასაც შემთხვევასაც, სადაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა შვილად ასაყვანის და ასევე ამყვანის სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების წინასწარი შემოწმება. მოგვიანებით შვილების ინსტიტუტის გაუქმების საკითხიც დადგა დღის წესრიგში, რამაც ასახვა ჰპოვა 1918 წლის 16 სექტემბრის ”მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების, საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო სამართლის კანონების შესახებ“ კოდექსში.

ამ კოდექსის 183-ე მუხლი ადგენდა, რომ “აღნიშნული კოდექსის მიღების შემდეგ აღარ დაიშვებოდა არც საკუთარი და არც სხვისი ბავშვების შვილად აყვანა. “ყოველგვარი შვილად აყვანა, წარმოებული მითითებული მომენტის შემდეგ არ წარმოშობდა არავითარ უფლებებსა და მოვალეობებს შვილად ამყვანთა და შვილად აყვანილისთვის” [6, 7].

ობოლი ბავშვების აღზრდაზე ზრუნვას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რის გამოც შვილად აყვანის შემდგომი აკრძალვა მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული. ამასთან დაკავშირებით, რსფსრ-ს და სკკ-ისა და სკს-ს 1926 წლის 1 მარტის დადგენილების ძალით შვილად აყვანის ინსტიტუტი აღდგა.

1926 წელს გამოცემული კოდექსის მიხედვით, შვილად აყვანის წესი არ ითვალისწინებდა აგრეთვე მისი გასაიდუმლოების უზრუნველყოფას. იგი ფორმდებოდა სპეციალური მოწმობით, რომელშიც ფიგურირებდნენ მხოლოდ ნაშვილები და მშვილებლები (მშობლები არა).

დროთა განმავლობაში იცვლებოდა კანონმდებლობაც. თუმცა მისი ამოსავალი წერტილი მაინც ბავშვის ინტერესები იყო. სწორედ ამ თვალსაზრისით, 1943 წლის 8 სექტემბერს ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა ბრძანებულება ”შვილად აყვანის შესახებ”, რომელმაც მშვილებელი არა მხოლოდ ფაქტობრივად გაათანაბრა ღვიძლ მშობელთან, არამედ საშუალება მისცა მას, აღნიშნული ფაქტის რეგისტრაციის დროს ღვიძლ მშობლად ჩაწერილიყო, რაც გარკვეულწილად თვით ნაშვილების მიმართ უხერხულობასაც ხსნიდა. ასეთი ფორმა არსებობდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე [9, 408].

შემდგომ პერიოდში, საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობის სრულყოფასთან ერთად, ნათელი გახდა, რომ შვილად აყვანის ინსტიტუტი მოითხოვდა შემდგომ განვითარებასა და დახვეწას, რაც მიღწეულ იქნა საქართველოში 1970 წლის 18 ივნისს “საქორწინო და საოჯახო” კოდექსების მიღებით. ამ უკანასკნელში საბოლოოდ გაესვა ხაზი იმას, რომ “ნაშვილები და მისი შთამომავლობა-მშვილებლისა და მისი ნათესავების მიმართ, ხოლო მშვილებელი და მისი ნათესავები – ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მიმართ პირადი და ქონებრივი უფლებებითა და მოვალეობებით უთანაბრდებიან შთამომავლობით ნათესავებს” (საქორწინო და საოჯახო კოდექსის 114-ე მუხლი).

კანონმდებლობის შემდგომი განვითარება მიჰყვებოდა და დღესაც მიჰყვება არასრულწლოვანთა უფლებების დაცვისა და შვილად აყვანის ურთიერთობათა სტაბილური უზრუნველყოფის გზას [6, 9].

დასასრულისთვის შეიძლება დავასკვნათ, რომ შვილად აყვანის ინსტიტუტის სამართლებრივი ნორმები წლების მანძილზე ვითარდებოდა და კანონმდებლების მიერ თუ მუდმივ დახვეწას ექვემდებარებოდა.

აღნიშნული ფაქტი თვალნათლივ მიგვანიშნებს იმას, რომ შვილად აყვანა მაღალი სოციალურ-ზნეობრივი ღირებულების მატარებელია და მისი რეგულირება მხოლოდ კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნით კი არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ ნორმებში ის პოზიტიური შეხედულებებიც უნდა აისახოს, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლეს და ხელი შეუწყვეს შვილად

აყვანის ინსტიტუტის დღემდე მოტანას და მის ღირსეულ დამკვიდრებას ახალი სამოქალაქო სამართლის ნორმატიულ აქტებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბექაია მ. 1980. *ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები*. თბილისი: "მეცნიერება".
2. მელიქიშვილი დ. 1983. შვილად აყვანის ზოგიერთი სამართლებრივი პრობლემა. *საბჭოთა სამართალი* (3)
3. სურგულაძე ნ. 2000. *რომის სამართლის ძეგლები იუსტინიანეს დიგესტები*, თბილისი: მერიდიანი.
4. მეტრეველი ვ. 2009. *რომის სამართალი (საფუძვლები)*, თბილისი: მერიდიანი.
5. ნადარეიშვილი გ. 1996. *ძველი ქართული საოჯახო სამართალი*. თბილისი: სამთავისი.
6. ნადიბაიძე ლ. 1998. *შვილად აყვანის სამართლებრივი პრობლემები*, საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი: თსუ.
7. საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი -1955წ. 1აპრილის მდგომარეობით, თბილისი: სახელგამი.
8. შენგელია რ., შენგელია ე. 2009. *საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა)* თბილისი: მერიდიანი.
9. ჩიკვაშვილი შ. 2004. *საოჯახო სამართალი*, თბილისი: მერიდიანი.
10. ჯავახიშვილი ივ. 1984. თორმეტ ტომად, ტომი VII, *ქართული სამართლის ჰისტორია*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტი.
11. ჯავახიშვილი ივ. 1926. *ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა*. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
12. ჯორბენაძე ს. 1957. *საბჭოთა საოჯახო სამართალი*, თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი.

Ketevan Kukhianidze
Grigol Robakidze University

Historian Review of Adoption Institute in Ancient Rome and Its Legal Regulation in Georgian Law

Family is one of the important historical forms of human unity. This is a micro universe in which a person is growing and becoming a member of the unity. Family provides continuation of humankind and performs the function of child upbringing [1, 67]. For this reason, a child's interests have always been a special focus of Georgian Law.

Adoption was one of the oldest institutes in the ancient Georgian family law. This is primarily due to the fact that it had a big state and social value.

Protecting the interests of orphan children and creating for them the same conditions as they would have in their native environment has always been important for the country [2, 54]. This institute did not start in the ancient Georgian law and it was used still in Roman law.

Adoption was divided in two parts in Rome, from which one was known as "adoptio" and the second was named as "adrogatio". "Adoptio" meant the adoption from a family. "Adrogatio" meant adoption of a free person. As a rule it happened in two ways: by the principate or by the magistrate rules. By the principate rule were adopted free ones and by the magistrate rule those who were under parents' subordination. In addition,

it is notable that it did not matter whether he or she was a child of the first category, such as son or daughter, or of the lower category, such as grandson or granddaughter, or the child of the son, or the child of the daughter. An individual who could not have children (for example eunuchs) had the right to adopt a child by one of these rules [3, 49-50].

Roman law considers adoption as the fact of subordination on a child among the origination of kinship-like relationship. An adopted child was freed from the old paternal authority and wholly entered into new family. It was possible to adopt a non Roman child who was given the status of free citizen [4,105].

The main purpose of adoption on the first stage of its development was the necessity for families to have a son as the religious tradition demanded from the head of a family to have a son to preserve its integrity. If nature did not give him a son, he had to adopt someone else's son. It is also an interesting fact that even a blind man had a right to adopt a child [9,401].

In the period of the division of Roman society into class strata, adoption became a political way to maintain and continue names of nobles [9,402]. Senator adopted by Plebeian would still remain a Senator [3, 55]. Adoption was not secretive or considered shameful, nor was an adopted boy expected to cut ties to his original family. An adopted child was often in a privileged situation. Almost every politically famous Roman family used it.

During the adoption it was investigated whether adoptive parents were not under 60. In this case they had to try to have their own child. Younger men had no right to adopt an older person.

In ancient Rome was banned sale and purchase of land. For this reason adoption as "pseudo" adoption was used as an approved form. A land seller was adopting a land purchaser and gave him/her the share of the inheritance. In return, an adopted person had to give an appropriate gift for the land price [8,301].

Adoption institute in Roman law affected the development of the legislation not only in the countries of the Roman Empire, but also in other countries emerged as a result of its collapse. Consequently, the mentioned fact had certain influence on the development of the legislations of Eastern countries, among them on the formation of Georgian law. History of the development of the adoption institute was not simple. It was related to such important institute of family law as the institute of wills [5,126].

In the Law book of Baghrat Kurapalati is saved the legislation Decree about an adopted son-in-law. This Decree is a surrogate of wills. If a son-in-law officially entered the house of a father-in-law, he had the same rights as an own son and could be acknowledged even as a successor.

In the Article 261 of the Book of Law by King Vakhtang is written: "If one without brothers, relatives, divorced, childless buys, finds, adopts and brings up someone's child, with or without parents had to give him his/her land and property" [5,131].

In the other version of the Article 261 of the same Book we read: "One who finds a child and adopts him, can make him whether as own son or as a slave." These excerpts remind us also other Georgian ethnographic materials [9,405].

Obviously, in the Feudal Georgia it was also allowed to adopt a son-in-law.

Academician Ivane Javakhishvili noticed that childless families in Georgia could adopt someone. A foster son had a right to inherit a foster-father's property after his death.

Many facts are described concerning adoption of son-in-law from XV-XVIII century Georgia. According to one such document, a son-in-law used both - his own surname (Mikadze) and his wife's surname. He became Mikadze-Palavandishvili.

It should be mentioned that adoptive parents could be not only physical persons but juridical persons too. Illegitimate children of a peasant did not have the right on inheritance. Illegitimate children from principality had limited such rights. For this reason, a peasant's illegitimate children or other careless children were adopted generally by church. In one document which is saved and dated from 1545 is stated that Genateli Melkhisedek Sakvarelidze asks the King Bagrat III of Georgia for the right to recognize Ivane Tsagriladze as an adopted son by the church. The King satisfied Melkhisedek Gaenateli's petition and also gave him the estate and land [5,137].

Relationships related to adoption existed in Georgia until the end of Feudal order, until the new social order was established which had its own legal regime towards different public relations.

The norms of legal regulations of adoption were very important also in the Soviet family law. The main thing was the question concerning homeless and careless children's appropriate living conditions [12, 32].

The Soviet Law allowed adoption only young individuals under the age of 18, because adoptive parents mostly were obliged to take care of adopted children until attained maturity. Such approach of the Soviet Law eliminated the chance of adoption. Therefore, full age persons' rights were diminished. In order to adopt a child not only his/her age had to be taken into consideration, but also his/her interests.

Law banned adoption under 10 years old child. Adoptive parents could not give him/her their name without an adopted person's consent. They could adopt two or more persons as well [7, 29].

Adoption happened mainly from children's houses. The Soviet law admitted the cases concerning adoption of two or more children. Pre-condition was to check out social and living conditions of adoptive and adopted persons. Later, the adoption institute was banned what was reflected in the Code "About citizenship, marriage, family and trustees" - September 16, 1918.

According to the article 183 of this Code, this article prohibited adoption of a foster child: "Every adoption after this moment did not produce any rights or obligations" [6, 7].

The fact of bringing up careless and homeless children had great positive significance. Because of this, furthermore prohibition of adoption was cancelled. According to the Decree of Russian Federation of March 3, 1926 the adoption institute was renewed.

According to the Code of 1926, the adoption rule did not consider keeping this information in secret. Special documents were formed so that there were named only adoptive and adopted persons (not real parents).

Laws were changed during the time. A child's interests remained the main thing in new laws as well. According to this, on September 8, 1943 authorities received the Decree "About Adoption". According to this law, an adoptive person became equal to a real parent. Such form existed until the collapse of the Soviet Union [9,408].

Finally, it can be concluded that adoption has high social-moral values and its regulations should not be restricted only by imperative demands. Those positive attitudes should be reflected in norms which contributed to bringing the institute of adoption until now and establishing it in the normative acts of the new civil law.